№ 188 სეკტემბერი 5, ხუთშაბათი 1891 სეკტემბერი 5, ხუთშაბათი № 188

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

პუშკინის თეატრი

ხუთშაბათს, 5 სექტემბერს,

**რუსეთის შიდა გუბერნიების დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ**

ი. ვ. სამარინ-ბიხოვეცის მეთაურობით წარმოდგენილ იქმნება საოპერეტო დასის მიერ

I

**მადამ ბონიფას**

კომიკური ოპერა სამს მოქმედებად, მუსიკა ლაკომბისა,

II

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ლასსალი, ბბ-ნი ბიაზი, სამარინ-ბიხოვეცი ინოჩენცი თვისის საბალეტო დასით და სხ. ფასები ჩვეულებრივია.

**მართა მერაბის ასული, იოსებ და გრიგოლ ივანეს ძენი ასათიანები, სარა ივანეს ასული კოვალსკისა და გრიგოლ დიმიტრის ძე ფარულავა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—შვილისა, მეორენი—ძმისა და უკანასკნელი—ცოლის-ძმისა თვისისა **სერაფიონ ივანეს ძის ასათიანისა** და სთხოვენ პატივი სცენ და დაესწრნენ დასაფლავებას. მიცვალებულს დაასაფლავებენ სოფ. მესხეთში, წმ. გიორგის ეკკლესიის გალავანში, ნაშუადღევის 1-ლ საათზე. 5 სექტემბერს

(2—114—2)

## ახალი ამბავი

*** დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, რომლის ჩამოსვლის შესახებ ჩვენს გაზეთში ვიუწყებოდით ამას წინად, ჩამობრძანდა კიდეც და წარსულს შაბათს, საღამოს 6 საათზე ხაშურიდგან აბასთუმანს წაბრძანდა. დაბის შესავალში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გამართეს სატრიუმფო კარი, რომელიც ყვავილებითა დ ბაირაღებით იყო შემკული. აქ მიეგებნენ დიდს მთავარს კავკასიაში სამკურნალო დაწესებულებათა გამგებელი და მკვიდრნი ბ-ნ მესხიშვილის წინამძღოლობით. ბ-ნმა მესხიშვილმა მოკლე სიტყვა მოახსენა დიდს მთავარს და პურ-მარილი მიართვა. სალამოს აბასთუმნის ქუჩები, სახლები, მადნის წყლები და ბაღები მშვენივრად ყოფილა გაჩაღებული.

*** ყირიმიდგან, ნიკიტას სამეურნეო სასწავლებლის ერთის მოსწავლისაგან შემდეგი ამბავი მოგვივიდა: ნიკიტას სამეურნეო სკოლაში 10 ივნისს მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატრიცა და დიდნი მთავარნი: მიხეილ ნიკოლოზის ძე, გიორგი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავარი ქსენია ალექსანდრეს ასული და საბერძნეთის დედოფალი თავისის ქალით. მიხეილ ნიკოლოზის ძემ მოგვაქციაო ყურადღება ქართველ მოწაფეთ, გაგვიხმო ცალკე და დიდხანს გვესაუბრა. სხვათა შორის გვკითხა, სადა სწავლობდით უწინაო და აღარც-კი დაგვამთავრებინა: „წინამძღვარიანთ სკ...“ თვითვე ჰბძანა „ჰო, წინამძღვაროვის სკოლაშიო, მე ვიცნობ კარგად წინამძღვაროვსაო“. შემდეგ წარგვადგინა იმპერატრიცასთან და გამოთხოვების ჟამს ქართულად გვითხრა: „მშვიდობით, კარგად ისწავლეთო“. ქონებრივად ძალიან გაჭირვებულნი ვართ და ერთი ჩვენგანი ლამის დაითხოვონ, რადგან აქამომდე ქუთაისის ბანკი უეჩაენიდა ფულს და ახლა-კი მოუსპო ბანკმა ეს წყარო.

*** დღეს „პუშკინის თეატრში“ წარმოდგენაა დანიშნული რუსეთში სიმშილისა გამო გაჭირვებულთა სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება მშვენიერი სამ-მოქმედებიანი ოპერეტტი „მადამ ბონიფას“ და დიდი დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ბალეტმეისტერი ბ-ნი ინოჩენცი და მთელი დასი ბალეტისა. ოპერეტში მონაწილეობენ ამ თეატრის საუკეთესო მოღვაწენი: ქ-ნი ლასსალისა, ბ-ნნი ქსპე, ბიაზი და სხვ.

რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრება დღევანდელს წარმოდგენას და გამოიჩენს თავისს გულ-მტკივნეულობას დამშეულთა დასახმარებლად.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი კიდევ უმეორებს პოლიციის ბოქაულთ, მოაგონეთ ქალაქის მკვიდრთა, რომ ბუხრების გასაწმენდის გადასახადის შეტანას დაუჩქარონ, რათა არ დაგვიანდეს ბუხრების გაწმენდაო.

*** საზაფხულოდ გასულნი ხმოსანნი დაბრუნდნენ და სხვა-და-სხვა კომისიების კრებანიც დაიწყო. გუშინ პირველი კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს ჩვენის ქალაქის გამგეობაზედ შესული საჩივრები, და მერე თავისი აზრი საბჭოს მოახსენოს.

*** წყალი და ავჭალის წყლის მილი უპირველესი საფიქრებელი საგანია ამ ჟამად კერძოდ ყველასათვის და საერთოდ მთელის საზოგადოებისათვის. ვისაც რამ საშუალება-კი აგონდება გაჭირვებისაგან თავის დახსნისა, უცხადებს წყლის მილის მოთავესა და პატრონს—ქალაქის გამგეობას. გუშინ ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ყორღანოვი თავისს წინანდელს მილის წყლის მოწყობილობას ქალაქს აძლევს მოსახმარებლადაო. ეხლა, როგორც ამბობენ, ჩვენის საბჭოს ერთ-ერთს ხმოსანს გაუმზადებია მთელი მოხსენება შესახებ იმისა, რომ ქალაქს არც შეძლება აქვს მილის წყალი აწარმოვოს და არც მოხერხებაო და ისევ რომელსამე კერძო საზოგადოებას გადავცეთ ეს საქმე, ისე, როგორადაც სხვა ქალაქებშიაც შემოღებულია ეს წესიო.

*** ჯარისა და ფლოტის უფროსი მღვდელი ჟელობოვსკი, როგორც შევიტყეთ, მომავალ შაბათს ჩამოვა ჩვენში.

*** დედათა ინსტიტუტი ამ თთვის 3 კოჯორიდამ ტფილისში ჩამოვიდა.

*** საგუბერნიო სამკურნალო დაწესებულებას დრო-გამოშვებით მოსდის ამბავი სხვა-და-სხვა კუთხიდამ პოლიციისაგან შესახებ იმისა, თუ რამდენია გადამდების სენით ავადმყოფი და როგორ მიმდინარეობს საზოგადოდ ამ ავადმყოფობის საქმე რომელსამე ადგილას. პოლიცია, თურმე, თავისს მოხსენებას ძლიერ აგვიანებს ხანდისხან, ზოგჯერ მაშინაც-კი, როდესაც რომელსამე ადგილშიგადამდები სენი მსწრაფლად ვრცელდება. აქედამ ის წარმოსდგება, რომ სანამ ამას შეიტყობდეს მთავრობა და სენის წინაამდეგ საშუალებას იხმარდეს, ავადმყოფობა ძლიერ ვრცელდება და მძვინვარებს.

ამის ასაცდენად ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ამ დღეებში მისწერა მაზრის უფროსებს, თუ თქვენს მაზრაში რაიმე სენი აღმოჩნდეს, დაუყოვნებლივ ექიმი მიიწვიეთ, გამოირკვიეთ, რა ავადმყოფობაა და როგორის ხასიათისა, იხმარეთ ჯერ-ჯერობით ისეთი საშუალება, რომ სენი არ გავრცელდეს და იმავე დღეს, როცა ავადმყოფობის ხასიათი აღმოაჩინოთ, დაუყოვნებლივ და საჩქაროდ მაცნობეთ ხოლმეო.

*** როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ბ-ნი მ. ჯანაშვილი თავს ანებებს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მდივნობას.

*** ივანე რატიშვილისაგან მივიღეთ ბაქოში მცხოვრებ ქართველთა შორის შეკრებილი 112 მან. 10 კაპ. განსვენებულის პოეტის ნიკოლოზ

## ფელეტონი

### შეურიგებელნი

(პოლშურიდგან)

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 187)

— ვერა... ვერა... როგორ!?.. მაშ არ თანაუგრძნობ ჩვენს უბედურს ცხოვრებას? განა ნება გაქვს, ან შეგიძლიან აღუშფოთებლივ და ხელის გაუნძრევლად უყურო, როდესაც რომაელი ჯარის-კაცი რკინის ფეხით სულს აძრობს და უკანასკნელს სისხლის წვეთს სწოვს იუდიელს; როდესაც გავერანებული ბრბო ფარისეველთა, ამ მიცვალებულთა სასაფლაოზედ მოლხინეთა, ჯოჯოხეთურს დავლურს უვლის და ძმობის ხელს აძლევს მტარვალს, როდესაც ღვთის სახელით უკანასკნელი ნამცეცი პურისა სიმშილით მომაკვდავს მათხოვარს ხელიდგან ერთმევა; როდესაც შხამით სავსე საწამლავს დაუზოგველად წვეთ-წვეთად უშვებენ ხალხის გულში!.. შეხედე, მთელი ურიათ მშობელი ქვეყანა საუკუნოდ იღუპება შუბლზედ სირცხვილ-აღბეჭდილი; იგი წარსულთა დროთა მოსაგონებელ საგნად გამხდარა, როგორც მატლებისაგან დაღრღნილი ლეში; ნახევარზედ მეტი ხალხი სიმშილით იხოცება და შენ-კი არ გინდა ჩვენ შემოგვიერთდე?!. წავიდეთ! ხალხს გულში შური ჩავუნერგოთ, მივსცეთ პირში პური და ხელს რკინა და გწამდეს, მტარვალობის ბორკილი საუკუნოდ შეილეწება!..

იმას უნდოდა ხელი ხელში წაევლო იესოსთვის, მაგრამ იესომ უკან დაიწია, ხელი გაიქნია, თითქოს იმისი თავიდგან მოშორება სურს, და პირი მიიბრუნა.

— გასწი, სთქვა იესომ, და უთხარი შენს ძმებს, რომ იესო გალილეველი ისე არ შეგიერთდებათ თქვენ, როგორც ღვთის აზრი მიწიერს მოქმედებასა. შენს თვალებსა და სიტყვებში ნათლად ვხედავ, რომ სიძულილის და მწარე შურის ძიების გრძნობას აღუვსია თქვენი გული. ხალხის ცხოვრების შესალავათებლად მე მხოლოდ სიყვარული დამაქვს. სიყვარულით მინდა მოვუშუშო და მოვურჩინო იარები და არა მსურს შხამიანის სიძულილით მოვუწამლო სულთქმა. გასწი...

შავი კაცი მაინც არ იძვროდა ადგილიდგან და თავისის განცვიფრებულის თვალებით იესოს პირში მისჩერებოდა. ერთის წამის შემდეგ მან გულ-დაწყვეტით დაიწყო:

— სიყვარული!? იქ რა სიყვარული შეიძლება, სადაც გამუდმებულმა სიძულილმა და ტანჯვამ სრულიად მოჰკლა სიცოცხლე და იგი მონობის ჯაჭვით შეაბორკილა. გინდა სიყვარულის სახელით შეაერთო მტაცებელი მგელი და გზა-დაბნეული ცხვარი, მდინარის ნაპირის ქვიშა და იმისი ტალღები, რომელიც ქვიშას ერთს ადგილას არ აყენებს და მოსვენებას არ აძლევს? გინდა, რომ დღის სინათლის დროს ღამის სიბნელე იყოს? აბა მიმოიხედე; მთელს ამ არე-მარეზედ მცირე ნამცეცს ვერა ნახავ ვერაფრისას, რომ ადამიანის მწარე ოფლითა და სისხლით არ იყოს სავსე... ოჰ, არა!.. სიყვარული-კი არ უნდა...

— შესდეგო, შეჰყვირა იესომ, რომელმაც ამ დროს იმ უშველებელს კაცს ხელში სტაცა ხელი და რომელსაც პირისახე დიდად აუღელვდა: შენი სიტყვები თვით შურის ძიების სასტიკს დანაშაულზედ უარესია. ადამიანის გულში იმათს უბედურებაზედ შედარებით უფრო მეტი სიყვარულის ცეცხლი უნდა აღანთო, ცეცხლი უსაზღვრო და საუკუნო სიყვარულისა, რომელიც სულ ერთიანად შეისყიდის მთელის ქვეყნის უკანონო საქციელს და მაშინ ყველანი ბედნიერის ოჯახის ერთს სხეულს წარმოადგენენ. როგორც ერთის არსების სულიერი ძალა ერთს ნებას ასრულებს, ისე ადამიანის ცხოვრება მხოლოდ ღვთის ნების გამომხატველი იქნება.

— მე რომ შენს განიერს თვალებზედ მწარე ცრემლის ცვარი არ დამენახა, ასე ვიფიქრებდი, რომ შენ ხილული ქვეყანა და სააქაო ცხოვრება შეგძაგებია და იმიტომ წამოსულხარ აქ, ამ უდაბნოში მეთქი. გასწი, გაეშურე და სიმშილისაგან მომაკვდავს კეთილმოქმედების სიმშვენიერე უქადაგე. სიყვარული ბედნიერთა—ფუფუნებაა. იქნება შენ კიდეც ჰფიქრობდე და გულ-წრფელად გჯეროდეს, რომ ქვეყანაზედაც ასეთის „ბილწის“ შურის ძიების გრძნობით დავიბადენით?... არა, ჩვენის ტანჯვით სავსე ძმების შეუწყვეტელმა კვნესამ გაგვილესა ასე გულის ფიცარი; ადამიანების დანაღვლიანებული გული უნდა ავაძგეროთ შურის ძიების ნუგეშით, გამოვსწვათ გაცოფებულს ბრძოლაში, რომ მძიმედ ნაწოლი ტანჯვის უღელი უფრო ნაკლებ იგრძნონ. მაშინ მტარვალის საშიშარი ბრჭყალი თავისს მოწამლულს მახვილს გულში

ბარათაშვილის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 205 მან. 36 კაპ., ამიანად შესდგა 317 მან. 36 კაპ. დღევანდელსავე ნომერში ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც.

*** კვირა დღით, როცა ქალაქის საბჭოს განკარგულებით, აღკრძალული ვაჭრობა, მეწვრილმანეები თავიანთს დუქნებს ფიცრავენ და წინ ხილეულობით ვაჭრობენ. საწვრილმანო საქონელს-კი პოლიციის ჩუმადა ჰყიდიან და საქონელს ფიცრულს უკან სწონავენ, რომ პოლიციამ არ შეამჩნიოსო. ამასობაში მედუქნეები ბევრსა სარგებლობენ იმით, რომ მყიდველები არა ჰხედავენ, როგორა სწონავენ საქონელს მედუქნეები.

*** საფილოქსერო კომიტეტი ყირიმშიაც მუშაობს. ამ კომიტეტს უთხოვნია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსათვის, აღუკრძალეთ კავკასიიდამ და კავკასიის იქითა მხრიდამ საზოგადოდ ყოველ გვარის მცენარისა, ბოსტნეულობისა და ხილის ზიდვა ყირიმშიო. ამასთანავე კომიტეტი სთხოვს სამინისტროს, რომ ყირიმის ზღვის ნაპირა ქალაქებში: სევასტოპოლსა, სუდაკსა, ფეოდოსიასა, ქერჩში და სხვ. დაწესებულ იქმნას ზედამხედველობა, რომ ყოველივე მოტანილი კავკასიის ნაპარებიდამ გასჩხრიკონ და დაათვალიერონო.

*** რაჭა: ამ ახლო ხანში ჩვენსკენ გაიმართება იარმუკობა ბუგეულისა. ამ იარმუკობაზედ იშვიათია, რომ ჩხუბი და ჩხ[illegible] არ მოხდეს ხოლმე. ამიტომ საჭიროა მთავრობის წარმომადგენელი ფხიზლად და ყურადღებით მოეკიდოს საქმეს, რათა მოუსვენარმა და აბეზარმა კაცებმა არ დაარღვიონ მშვიდობიანობა. ბუგეულის იარმუკობის დროს ხალხი დიდს გაჭირვებას ითმენს რიონზედ უხიდობის გამო. თუმცა ამ დღისთვის გააკეთებენ ხოლმე ხიდს, მაგრამ ზედ გამვლელ-გამომვლელთაგან დიდს ბაჟს იღებენ. ბუგეულის საზოგადოებამ ამის გამო შემდეგი განაჩენი დაადგინა: გავაკეთოთ თითონ ჩვენ დროებითი ხიდი და ნურავითარს ბაჟს ნუ გამოვართმევთ ნურავისაო. მაზრის უფროსმა დიდად მოიწონა ასეთი გარდაწყვეტილება სოფლის საზოგადოებისა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავის სიტყვას საზოგადოება კიდეც აასრულებს, თუნდა ეს გარემოება ზოგიერთს სასიამოვნოდაც არ დარჩეს.

*** სოფ. ჯვარისშენი (გორის მაზრა): ორს ამ თთვისას დიდი უბედურება დაგვატყდა თავსა: საღამოს ჟამს საშინელმა სეტყვამ სულ ერთიან გაგვინადგურა ვენახები ჩვენ და ჩვენს მახლობელს სოფლებსა. ვაზი ისე წაგვიხდინა, რომ წლევანდელს მოსავალს ვინლა სჩივის, იქნება რამდენსამე წელს სრულიად ველარც-კი იხეიროს ვაზმა. დაღონდეს თქვენი მტერი, როგორც ჩვენი გლეხები არიან ამის გამო დაღონებულები.

*** ამ თთვის 3, კოტრინის ქუჩაზე იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვს ბარათი აღმოაჩნდა, რომელშიაც ეწერა, 5 აგვისტოს არის დაბადებულიო. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. იკორთა** (გორის მაზრა). როგორც უკვე მოხსენებული იყო თქვენს გაზეთში, ამ წლის თებერვალში გორის საკრებულო ტაძრის მღვდელმა ი. გამრეკელმა საქართველოს ეგზარხოსს გამოსთხოვა ნებართვა კომიტეტის შედგენისა ჩვენის [illegible]. რადგანაც ეს ტაძარი საგვარეულო სამარხი ადგილია თავ. ერისთავებისა, ამიტომ წევრებადაც კომიტეტისა სულ ერისთავები ჩაეწერნენ, სახელდობრ: რევაზ შალვას ძე, კონსტანტინე ბიძინას ძე, კონა მირმანოზის ძე და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე. ამ ოთხს წევრს გარდა სხვანი სამღვდელონი არიან—ადგილობივი მღ. დ. გამრეკელი, გორის საკრებულო ტაძრის მღ. ი. გამრეკელი და თავმჯდომარე კომიტეტისა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე. აქამდე, როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, კომიტეტს მხოლოდ ოთხმოცი თუმანი ჰქონდა, თავ. ალექსანდრე ივანეს ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის მიერ შეწირული, ხოლო ეხლა-კი საქმემ ძლიერ წაიწია წინ მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მეოხებით. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა არბოს ეკკლესიის კურთხევის შემდეგ, პირველს ამ თთვისას, გამოჰყვა სოფლებს და ბევრგან დაათვალიერა ეკკლესიები. სხვათა შორის, რასაკვირველია, გვესტუმრა ჩვენც და მთავარ-ანგელოზის ეკკლესია, ძველად მონასტერი, დაწვრილებით დაათვალიერა და გასინჯა როგორც თავმჯდომარემ კომიტეტისამ. ამ ნახვამ, ჩვეულებისამებრ, მისს ყოვლად უსამღვდელოესობას გული აუძგერა სიყვარულით ძველთა ნაშთთადმი და იმის მაგიერ, რომ პირდაპირ აქედგან ტფილისს გამგზავრებულიყო, გარდაწყვიტა წაბრძანება ერისთვიანთნა ეკკლესიის საქმეზე მოსალაპარაკებლად. სამს ამ თვისას მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მართლა მიბრძანდა მეჯრუხევში და ესტუმრა თავ. კონა ერისთავს, რომლისასაც შეკრებილნი იყვნენ მისი შვილები და სხვა მონათესავე ერისთავები. მისალმების უმალვე, მისმა ყოვლად უსამღვდელოსოებამ ბაასი თავისს საყვარელს საგანზე ჩამოაგდო და ძლიერ კარგი შედეგიც მოჰყვა ამ ბაასს. გამხნევებულმა ერისთავებმა იქვე გამართეს ხელის მოწერა, არავინ არ დაიშურა თავისი წვლილი და შეძლებისამებრ ყველა გაისარჯა. აი, სახელდობრ, ვინ რა შესწირა: რევაზმა შალვას ძემ ერისთავმა ასი თუმანი (1000 მან.), დიმიტრიმ კონას ძემ ერისთავმა ასი თუმანი (1000 მ.), კონსტანტინემ კონას ძემ ერისთავმა ორმოცი თუმანი (400 მ.), კონა მირმანოზის ძე ერისთავმა ათი თუმანი (100 მ.), მირმანოზმა კონას ძემ ერისთავმა ხუთი თუმანი (50 მ.), გიორგიმ დიმიტრის ძემ ერისთავმა ათი თუმანი (100 მ.) და ანნამ გიორგის ასულმა ერისთავმა ათი თუმანი (100 მ.)—ამასთანავე თთ. ერისთავებმა ივარაუდეს, ვინ რამდენს შემოგვწირავს ჩვენის გვარის კაციო და, მათის ანგარიშით, ამ მოკლე ხანში ათას თუმნამდე უნდა შეგროვდეს. ასეთის უხვის შეწირულებით გამხნევებულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და თთ. ერისთავებმა გარდასწყვიტეს, სხვას ნურავის შევაწუხებთ თხოვნით და მხოლოდ ჩვენმა გვარეულობამ განვაახლოთ ჩვენი ძვირფასი ტაძარიო.

მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ მადლობა გარდაუხადა და აქო თთ. ერისთავნი ასეთის სამაგალითო გულ-უხვობისათვის. შემდეგ დაათვალიერა მეჯრუხევის ორ-კლასიანი სასწავლებელი, გამოსცადა ყმაწვილები, ყველაფერი მოიწონა და ფრიად ნასიამოვნები წაბრძანდა გორისაკენ. წაბრძანებისას მღვდელ-მთავარმა ბრძანა, გზაზედ სოფელს კასპშიაც შევუვლი იქაურს ერისთავებსაო.

სიგმა

---

**სოფ. სტეფანწმინდა**, ამოდენა ნიაღვრობამ თავი მოგვაბეზრა. 30-ს წარსულს მკათათვეში დაზიანებულის გზების გამართვას შევუდეგით და მარიამობის 15-დე კავკავიდამ ყაზბეგამდე ცხენის გზა ხეირიანად შევაკეთეთ, მაგრამ 15-ს (მარიამობა ღამეს) ისეთი საშინელი ავდარი და წყალდიდობა ატყდა, რომ პირველს ნიაღვრობას გადააჭარბა; ახლად შეკეთებული გზები სულ ერთიან ხელ-მეორედ დარეცხა; სადაც თერგის პირებზედ წყლის ასაცილებლად ფიჩხისა და ქვის ღობე-წნულები იყო, სულ-ერთიან მოჰგლიჯა, კლდის პირადვე ახლად შეკეთებულს გზებს თერგი მიუვარდა, გზები გარეცხა და კლდეზედ სიარული შეუძლებელი შეიქმნა. დროებითის ხიდისთვის გველეთთან აშენებული ღობე-წნულები, სადაც მეორე დღეს უნდა დირეები დაგვეწყო, როგორც ჯებირები, ისე მოტანილის ხიდის მასალა, სულ ერთიან თერგმა წაიღო. ამოტენა ჯაფამ და ხარჯმა სულ ცუდ-უბრალოდ ჩაიარა. როცა წყალი ცოტა დამშვიდდა, ისევ შევუდეგით ხიდების და ჯებირების მართვას, მაგრამ მეორე დღესვე ისეთი საშინელი კოკი-პირული წვიმა მოვიდა, რომ არამც თუ წინად დაზიანებულს გზებს დამართა საშინელი დღე, არამედ კობიდამ ყაზბეგამდეც ძლიერ გააფუჭა გზები: გააფუჭა სიონის ხიდის სიმაგრე, მდ. ტერხუნამ დაარღვია არშის ქვის ჯებირი, თერგი მიუხდა ეკლიანში დანაყარის მიწის გზას და სამს ადგილას გაარღვია და დაგლიჯა გზა; არც ერთი ხევი არ დარჩა, რომ ყოველგან გზაზედ შესამჩნევად დიდი ქვა-მიწის ნამზღვლევი არ მოეტანა. არსად არ დარჩა ისეთი რამ აშენებული გზების დასაცველი, რომ ყველგან ზარალი არა მოეტანოს-რა. კავკავიდამ მოყოლებული ვიდრე კობამდე ხალხი ფუთკარივით ახვევია გზებს საკეთებლად; ხარის და ცხენის მუშაობაც ბევრი არის; გამვლელ-გამომვლელთაც კავკავიდამ ტფილისამდე სჭირდებათ ცხენები და კაცები და უზომოდ დიდს ფულსაც იძლევიან. გზაზე მუშაობს: ქართველი, ოსი, რუსი, ქისტი, თათარი და ბერძენი.

ნიაღვრობა შემდეგის უბედურობით დასრულდა: 21 მარიამობისთთვეს მეოთხედ მოვიდა ავდარი და ატყდა წყალ-დიდობა. მეოთხედაც იგივე დაჰმართა ნაკეთებს გზებსა, რაც წინად. სოფელს გორისციხეს მცხოვრებელს სვიმონ ავსაჯანაშვილს დილით თავისი ძროხები საძოვარზედ მიუდიოდა; რა შერეკა სოფლის პირს წყალში „ხევაში“, უცბად მოვარდა ხევი და ძროხები წაიღო. ავსაჯანაშვილს ველარ გაუძლო გულმა ამ ძროხების ცოდვა-ბრალით და თვითონაც თურმე შეეშველა, მაგრამ არამც თუ ძროხები ველარ გადაარჩინა, თითონაც წყლის მსხვერპლი გახდა. ხელ-ფეხ დამტვრეულმა და გვერდებ შემოლეწილმა ს. ავსაჯანაშვილმა კიდევ სამს დღეს იცოცხლა და შემდეგ გარდაიცვალა.—ამავე ხანებში ერთი მლეთელი ბერიკაცი კავკავიდამ შინ მომდინარე გადავარდა დარიელის ხიდის კურტუმიდამ და იმავე წამს სული დალია.

ეს ერთი კვირა არის, წვიმამ და წყალდიდობამ ცოტაოდნა იკლო და ხალხმაც თავისუფლად მუშაობა დაიწყო; ლარსამდე კარგი საურმე გზა გაიმართა და ლარსიდამ ყაზბეგამდე საჯდომის ცხენებით დაიარებიან. გველეთის ხიდის პირი კიდევ იჭრება, მაგრამ გვიანდება, რადგანაც ჯერ კლდე არის ძლიერ მაგარი, და მასთან მეტად მაღალი, ასე, რომ ძირს, რომ შესჭრან, გზა ქოხივით იქნება და არ ივარგებს; ამისათვის უნდა საბლებით დაეკიდნენ და კლდის ხვრეტა თავიდამ უნდა დაიწყონ. თუ ამინდები კარგი იქნა და მუშამ მოუცდენლად მუშაობა განაგრძო, მიწის სამუშაოებში გზები მალე გაიმართება, მხოლოდ დაბრკოლება იქნება კლდე-

---

ასე ღრმად ველარ ჩაარჭობს. შემდეგ ხალხი თავისის უბედურის ცხოვრების მიზეზს შეიგნებს და მოახლოვდება დრო განახლებისა, დადგება ის განკითხვის დღე, რომელსაც ასე ცხადად იხსენიებს დაბადება, დღე საერთო განსამართლებისა..,

იესომ თავი გაიქნია.

— თავის მოტყუებით ჩირქსა სცხებ ბაგეთა შენთა. მხოლოდ სიყვარული იძლევა განახლებას, მხოლოდ სიყვარული სთრგუნავს მტარვალობას, მხოლოდ სიყვარული აიძულებს ძლიერს უძლურისა და სუსტის შეყვარებასა, პურისა და გულის მასთან ერთად განაწილებას.

ქარმა გაჰფანტა შავად ჩამოწოლილი ნისლი. მაღლა ცაზედ კვლავ მხიარულად გამოანათა მზემ. ძირს, ხე-ტყესა და უდაბნოს შორის, ადამიანების სახლ-კარი და ეზო-ყურე სჩანდა: ლამაზი ქალაქები, მიწყნარებული სოფლები და განდეგილთა მშვიდნი სენაკნი. ეს ბუმბურაზი შავი ადამიანი დაიხარა, გრძელს მკლავებზედ წამბული დასერილი ხელები იერუსალიმისაკენ გაიწოდა და თვალი შორს გლახაკთა ბინას გაუშტერა, თითქოს უნდოდა იესოსათვის დაენახვებინა და ეჩვენებინა ის, რითაც იმისი გული ცხოვრების ნაღველს აევსო. სისხლით ავსებულს თვალებში თავისის მოძმეს უსაზღვრო სიყვარული უპრწყინავდა, ხორცი და სისხლი გამსჭვალული ჰქონდა უსახლ-კარო მაშვრალთა ცხოველის თანაგრძნობით.

— შეხედე, იძახდა იგი: შეხედე ამ ქვეყანას!... აი, იქ კაცობრიობა მტრების საშინელის ძლიერებით ხორც-სისხლ დაცლილი იტანჯება; აზრივით სწრაფი შემწეობის ხელიც-კი მეტის-მეტად დაგვიანებული იქნება, იმიტომ რომ ყოველი თვალის დახამხამება დაულეველი, უძირო მწუხარების ზღვა არის, რომლის მძიმე ზვირთები მილიონობით არჩობს და ჰნთქავს ხალხს... აბა სადა ჰნახავ შენ იქ ან-კი ნასახს სიყვარულსას? უბედურებამ, ცხოვრების სისტიკმა მიმდინარეობამ სიძულილი წარმოშობა და თან-და-თან უფრო ამრავლებს... საიდგან უნდა აღმოცენდეს სიყვარული, საიდგან უნდა მოევლინოს იგი ქვეყნიერობას?

— იქიდგან, წარმოსთქვა იესომ და ხელნი და თვალნი ცას მიაპყრა. ამ დროს სახე იმისი ზეციურის მადლით ჰპრწყინავდა.

— იქიდგან? მე იქ მხოლოდ ჰაერის უშველებელს ბურთს ვხედავ, ოქროსაფერით გაბრწყინვალებულს, რომელიც ქვეყანას განიერ წამოსასხამად გადაჰფარებია. იგი ანაყოფირებს მდიდრების ყანასა და ჭალა-მინდორს, მშრომელის ხალხის თავ-პირს-კი შეუბრალებლად სწვავს...

— ასწავე ხალხს, მოუჭრა იესომ, რომ ირწმუნონ ღმერთი სიყვარულისა, რომლითაც განმსჭვალულია ჩემი გული, და ღმერთი მოსპობს ქვეყნიერს ბიწიერებას და ქვეყანასა-ზედ ჩემს მეუფებას დაამკვიდრებს. რწმენა და სიყვარული ღვთისა ხალხს სიძულილსა და ბინძურს ცხოვრებას დაავიწყებს.

—ღვთის თვალთა წინაშე გამოხატვის ნუგეში დაატკბობს ყოველ-გვარს ტანჯვას და დედა-მიწაზედ სამოთხე დამყარდება. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, გეტყვი შენ, რამეთუ მხოლოდ ის, რაც სიყვარულში აღმოცენებულა, მოიტანს მარგებელს ნაყოფს და სხვა დანარჩენი, რაც შურის ძიებასა და სიძულილს უსაზრდოებია, წამბილწველია, როგორც ის აზრი, რომელიც ბოროტის გრძნობით ხელმძღვანელობს.

— მაშ ღმერთი გინდა აღუჩინო და უჩვენო ხალხს, ღმერთი სიყვარულისა? სად არის მერე იგი? გადამღრძვალ იეგოვასას ხომ არ ამბობ, რომელიც ყოველთვის გვაიმედებდა, რომ თქვენ რჩეული ერი ხართო და საუკუნო ტანჯვას-კი მიგვცა; რომელიც თავისის შეუბრალებელის ბრძანებითა და სასტიკის მუქარით მრთელი ათასი საუკუნე აოხრებდა და არბევდა ჩვენს მამულს? გარყვნილი, წაბილწული იუპიტერი ხომ არ არის, რომელმაც, როგორც გველი შემოეხვევა ხოლმე ცხოველს და თავისის მომწამვლელის შხამით ჰკლავს, ისე თავის მძარცველთა ლეგიონი რკინის ბრჭყალები ჩაგვასო, შეგვიბორკილა და განუკითხავად გვაძრობს სულს?.. იქნება, მოლოხს ამბობდე, რომელსაც თავისი საშიშარი ყბები ადამიანის შვილის სისხლით შეუღებნია და მუდამ სისხლი სწყურიან! აჰა, მიიღე ეს პური, მე შენთვისა მაქვს შორიდგან წამოღებული; თუმცა ცოტაა, მაგრამ წრფელის გულით არის მოტანილი, დამშეულთაგან წართმეულია, რადგან შენ, იმათთან შედარებით, უფრო დამშეული ხარ. ოდესმე ას წილად მეტად გადუხდი შენ ამ ძღვენს ხალხსა და ხალხი მაშინ შენი მადლობელი იქნება, რადგანაც ულ-უკმა-პუროდ წელში ოთხად მოხრილი იტანჯება და ტანჯვაში ჰკვდება.

იესომ არ მიიღო მოტანილი ძღვენი.

— ღვთის გმობაა! წარმოსთქვა გაჯავრებით: არა პურითა ხოლო ჰსცხოვნდების კაცი. უკანვე წაიღე შენი ძღვენი.

შავმა კაცმა ხელი ზანტად წაიღო უკან და პირის-სახე სულთ-მობრძავ ავადმყოფსავით მწარედ დაემანჭა.

— გძაგს... წინასწარმეტყველო სი-

ებში და გველეთის ხიდთან. გველეთის ხიდის ბოლოს დღეს გამართეთ დროებითი ხიდი ფეხით სასიარულო მდ. თერგზედა.

ხალხის მწუხარებას ბოლო არა აქვს; თუმცა მოშაობით ფულის შოვნა არის, მაგრამ ვაი იმ ფულის შოვნას: მთის ხალხის თიბა და მკა ეხლა არის, ამ ყელიჭრის მუშაობის დროს თავიანთ სახლებიდან მოუდით გზის საკეთებად, და სახლში-კი ათი იმოდენა აკლდებათ, რასაც გზაზედ შოულობენ. ამასთანავე ჯერ ეგრეც მცირედ მოსდით მოსავალი და მერე ისიც ნიავღვარმა გააფუჭა. არ შეარჩინა მცხოვრებლებს წისქვილები, რომ თუ რამ ვისმე ებადა, ის მაინც სადმე დაეფქვათ. ზოგს დასაფქვავი სულ არა აქვს და ვისაც აქვს, დაფქვა არ შეუძლია უწისქვილობის გამო. ზოგს ფული აქვს და ყიდვა არ შეუძლიან უგზოობის გამო; ასეთის შევიწროების მომსწრე არავინ არის. მოხევეების დამარჩენელი და მსაზრდოებელი კავკავი იყო და არის კიდევაც. არც ერთი მოხევე სხვა მხრით საოჯახოდ ვერას შეიძენს, თუ არ კავკავიდამ, მაგრამ, სამწუხაროდ, უგზოობის გამო ეს ქალაქი დაუშორდა ჩვენს ხალხსა და ერთს თითვეს ვერა ძლებენ უიმისოდ. თითის გული რომ ვისმე ასტკივდებოდა, მოხევე მკურნალს ან შინ მოიყვანდა კავკავიდამ, ან სნეულს იქ წაიყვანდა, მაგრამ ეხლა-კი რომ ხალხი სენისაგან გაიმუსროს, უგზოობით არ შეგვიძლიან, ან ბებია ან მკურნალი და ან უბრალო ექიმი სადმე ვიშოვნოთ.

მართალია, კავკავის ოლქისანი არა-ვართ, დუშეთის მაზრას ვეკუთვნით, მაგრამ კავკავის წყალობით-კი მივდივართ იოლად.—არც ის გეგონოთ, რომ ჩვენ მაზრის მკურნალი არა გვყავნდეს. — გვყავს მკურნალიცა, პოლიციაც, მღვდლებიცა, სხვა-და-სხვა სამსახურის მოხელენიცა, მაგრამ მაინც დიდს გაჭირვებას ვითმენთ, რადგან უსამართლობა ბევრია და გულ-შემატკივარნი ჩვენთვის ძალიან ნაკლებად არიან. ხმის ამომღები კაცი არა გვყავს, ისეთი კაცი, რომელსაც ყველა ერიდებოდეს და ეთავაზებოდეს.

11 მარიამობისთვეს ყაზბეგში ერთს აქაურს მკვიდრს დასჭირდა მკურნალი. კავკავიდამ მისი მოყვანა ძნელი იყო, ჯერ უგზობის გამო და მერე სიძვირის მიზეზითაც. ამისათვის მიჰმართა მკურნალს დეპეშით და შეეკითხა, რა ფასით მობრძანდებით ყაზბეგშიო. პასუხად ასეთი დეპეშა მოუვიდა: Я не могу, военный врачъ требуетъ пятьдесятъ рублей, кромѣ проѣздныхъ, впередъ. გაჭირვებული სნეულის პატრონი გაექანა კავკავს, მაგრამ ვისაც მიჰმართა, არავინ წამოჰყვა, ამ გზებზე სიარული ვის შეუძლიან, რაც უნდა მოგვცე, თოკებით კლდეებზე ვერ გადმოვივლითო. ბოლოს გამოიარა ყაზბეგში ერთმა სამხედრო მკურნალმა და, ღმერთმა უშველოს, ის შეეწია ავადმყოფს. ამას გარდა ათასი გაჭირვება სხვა გვადგია, მაგრამ ყველა სადა სთქვას კაცმა.

ა. კობაიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენის გაზეთის ახალს ამბებში თითქმის ყოველ დღე ამოიკითხავთ ცნობას იმის შესახებ, რომ ბაქოს, ან ბათუმის მხარედგან დღეს ორი და სამი ოჯახი ებრაელებისა გაემგზავრა არგენტინის რესპუბლიკისკენ იქ დასასახლებლადაო. ტფილისიდგანაც ცოტანი არ მიდიან. საქმე ის არის, რომ ბარონ გირშმა ამ რესპუბლიკაში ადგილ-მამული შეისყიდა და განზრახვა აქვს, შევიწროებულნი ებრაელნი დაასახლოს. შეიტყეს თუ არა ეს ამბავი ებრაელებმა, მაშინვე დაიწყეს აბარგება და გადასახლება არგენტინის რესპუბლიკისკენ, თუმცა იმათ დასახვედრად ჯერ არა არის-რა მომზადებული. აი ამის შესახებ საყურადღებო წერილია დაბეჭდილი გაზ. „Кіевское Слово“-ში. ეს წერილი ბარონ გირშის ბიუროს მიუწერია ოდესის ექიმის პენკოვსკისათვის, რომელსაც რამდენისამე გადასახლების მსურველ ებრაელის თხოვნა ეუწყებინა ბარონ გირშისათვის.

თქვენი წერილი მივიღეთ 20 ივნისს და ვჩქარობთ დაუყოვნებლივ აგისრულოთ სურვილი და პასუხი მოგწეროთ, რათა ჭეშმარიტება გაცნობოთ. იწერებოდით, რომ ჩემის სამშობლოდგან მინდა გადავსახლდე იმ მიწა-მამულში, რომელიც ბარონ გირშსა ჰსურს შეისყიდოს არგენტინის რესპუბლიკაში, სამხრეთ ამერიკასაო. თუმცა თქვენმა ხმამ ჩვენამდე მოაღწია და გულ-წრფელადაც მოწადინებულნი ვართ, რომ, რაც შეიძლება ჩქარა გამოგიხსნათ მაგ გაჭირებიდგან, მაინც ჩვენს მოვალეობადა ვრაცხთ, გაუწყოთ, ამ ჟამად ვერას მოგიხერხებთ-რა, რადგან ჩვენი პროექტი ჯერ იმდენად არ განხორციელებულა, რომ ამის თქმა შეგვეძლოს: „დაანებეთ თქვენს ქვეყანას თავი და წადით ახალ-შენებში ადგილ-მამულების შესამუშავებლად, იმ ახალ-შენებში, რომელიც ბარონ გირშის მიერ არის დაარსებულიო“. თქვენ, როგორც კეთილ-გონიერს ხალხს, კარგად მოგეხსენებათ, რომ ათასობითა და ათი ათასობით ვერ გადავასახლებთ ხალხს თავისის სამშობლოდგან ამ შორეულს ადგილებში იმ დრომდე, ვიდრე მამული მომზადებული არ იქნება. და თუ თქვენ თქვენდა თავად გადასწყვეტთ გადასახლებას, ღმერთმა დაგიფაროთ-კი და, ბევრს უსიამოვნებასა და დაბრკოლებას შეხვდებით. დიდის წვალებით რომ მიაღწიოთ კიდეც იმ ადგილამდე, ვერც მოსვენებას ეღირსებით და ვერც საცხოვრებელს მოიპოვებთ.

მაშ ასე, აი ჩვენი რჩევა ეს არის: ნუ დაიძვრებით ჯერ-ჯერობით თქვენის სამშობლოდგან იმ დრომდე, ვიდრე დაწვრილებით არ შეიტყობთ საქმის ყოველსავე გარემოებას. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ჯერ ადგილ-მამული უნდა შევიძინოთ არგენტინის რესპუბლიკაში, ახალ-შენებისათვის ყოველივე მოვამზადოთ, სამეურნეო იარაღები შევიძინოთ და მერე კიდევ ვინ იცის, რამდენი უნდა ვეწვალოთ, რომ რუსეთის მთავრობისაგან ავიღოთ ნება-რთვა თავისუფლად გადასახლებისა. ყოველსავე ამას დიდი შრომა სჭირია და იმედიცა გვაქვს, რომ შემწეობითა ღვთისათა განვახორციელებთ სურვილს.

როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, ბარონ გირშს ჯერ ადგილ-მამულიც არ შეუძენია და ამიტომ დიდი თავზედ ხელის-აღებაა ებრაელთა ოჯახობის ეხლავე გადასახლება იმ ქვეყანაში, სადაც გულ-შემატკივარი არსად ეგულებათ და ბინა არსად მიელით. ამას გარდა, წერილში ისიც არის ნათქვამი, რომ აქ გადმოსახლების მსურველს ებრაელებს უეჭველად უნდა ჰქონდეთ უნარი სამეურნეო მუშაობისა და მამულის მოვლის ხელიო. ეს წერილი ცოტა არ იყოს შეაყენებს უკვე გასამგზავრებლად აბარგებულს ებრაელებს და თავისს ეხლანდელს ბინაზედვე დარჩენას ჰყოფს იძულებულს.

## წვრილი ამბავი

პარიჟის საზნეობრივო მეცნიერებათა აკადემიაში ჰერცოგმა ომალისამ მოხსენების წაკითხვის დროს ინგლისის სასამართლოთა შესახებ, სხვათა შორის შემდეგი სასაცილო ამბავიც უამბო აკადემიის წევრებს. სესსიის დროს ერთი მსაჯული დადიოდა ქალაქ-ქალაქ თავისს ოლქში და სასისხლისსამართლო საქმეებს არჩევდა ნაფიცთა თანადასწრებით. თან, რასაკვირველია, ვექილებიც ბლომად დასდევდნენ და მცველობასა სწევდნენ. მივიდნენ ერთს პატარა ქალაქში და საქმეებს დაუწყეს რჩევა. ერთმა ვექილთაგანმა, რომელიც მსაჯულის კარგი მეგობარი იყო, დაიწყო სიტყვა ბრალდებულის დასაცავად. ამ დროს უეცრად კარზე ვირმა ყროყინი მორთო. მსაჯულმა ლაპარაკი გააწყვეტინა ვექილსა და უთხრა: „მოითმინეთ, ორნი ნუ ლაპარაკობთ, ვეღარას გავიგებთ“. ვექილი მართლა შეჩერდა, ვიდრე „მეორე“ თავისს ყროყინს გაათავებდა, და მერე დაამთავრა სიტყვა. პატარა ხანს შემდეგ თვით მსაჯულს მოუხდა სიტყვის თქმა ნაფიცთადმი. ამ დროსაც ვირმა კიდევ დაიწყო ყროყინი. ვექილმა იფიქრა, აბა, თუ გადავუხდი ოხუნჯობას, ეხლა უნდა გადავუხადოო, მიუბრუნდა მსაჯულსა და უთხრა: „უმორჩილესად გთხოვთ, ცოტა დაბლა ილაპარაკეთ, თორემ თქვენი ხმა დიდს ზანს იღებს და აღარა გვესმის-რაო“. მსაჯულმა ცხვირი დაუშვა და ვეღარა უპასუხა-რა.

— ამერიკულს გაზეთებში შემდეგი ამბავი სწერია: ორი ახალგაზრდა კაცი შელაპარაკდა, ნიუ-იორკის მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი პატიოსანია, თუ არაო. ერთი ამბობდა, მომეტებული ნაწილი ნიუ-იორკის მცხოვრებთა პატიოსანი ხალხიაო, ხოლო მეორე-კი ამას უარჰყოფდა. ბოლოს სანაძლეო დასდვეს—ერთი კარგი ვახშამი—და გადასწყვიტეს, გამოეცადათ ნიუ-იორკელები, პატიოსნები არიან, თუ არაო. ერთმა მათგანმა—ნიუ-იორკელების პატიოსნობის მომხრემ—ოქროს საათი ჩამოჰკიდა ქუჩაში ხარიხაზე, თითონ-კი თავისის ამხანაგითურთ პატარა მოშორდა იმ ადგილსა და ჩუმად ყურის გდება დაუწყო, აბა წაიღებენ საათსა, თუ არაო. რასაკვირველია, ერთს წუთს მრავალი ხალხი შეიკრიბა ჩამოკიდებულ საათის მახლობლად და ჩოჩქოლი შეიქმნა. ზოგი ამბობდა, ეს ამბავი ვიღაც მესაათეს ოინია, ალბად სურს, ხალხს გასცნოს თავისი თავი, მუშტარი გაიჩინოს და ამიტომ საცაა, თითონაც აქ გაჩნდება, და ან ვინ იცის, იქნება ახლაც ამ ხალხში ურევიაო. ხალხი თანდათან უფრო მოემატა. ბევრს აუზიმზიმდა თვალები, უნდოდათ ჩამოეღოთ ოქროს საათი, მაგრამ ვერ ჰბედავდნენ. როცა ხალხი ძლიერ ბლომად მოქუჩდა, პოლიციელი მოვიდა და იკითხა, ეს საათი ვისიაო. რადგანაც პატრონი არსად სჩანდა, პოლიციელმა ხელი წაავლო საათს და წაღება დააპირა, მაგრამ ხალხმა დაუძახა, შენ რად მიგაქვს, თუ წაღებაა, განა ჩვენ-კი ვერ წავიღებდითო. პოლიციელმაც საათს თავი დაანება და ხალხს დაუწყო გაფანტვა, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდა. რა-კი დანიშნული ვადა შესრულდა და საათი არავინ წაიღო, მონაძლევენიც გამოჩნდნენ. პატრონმა წაავლო საათს ხელი და ჯიბეში ჩაიდო. ხალხმა კვლავ დაიყვირა: „თუ წაღებაა, განა ჩვენ-კი ვერ წავიღებდითო“.—„თქვენ იმიტომ ვერ წაიღებდითო—მიაძახა საათის პატრონმა—რომ ნიუ-იორკის მცხოვრებნი პატიოსანი ხალხიაო“.

— მილვოკში (ამერიკაში) ერთს დამნაშავეს ერთის წლით დაპატიმრება გადაუწყვიტეს. სასამართლოში დამნაშავემ აღიარა, მე წევრი გახლავართ „ნიუ-იორკის ავაზაკთა ამხანაგობისა“, რომელიც იმის გულისთვისაა შემდგარი, რომ სხვა-და-სხვა ქურდობა, ავაზაკობა, ყაჩაღობა და სხვა ამ გვარი ბოროტება ჩა[illegible]ტენითო. ყოველმა წევრმა ჩვენის „ამხანაგობისამ“ 500 დოლლარი შემოიტანა, თანხა შევადგინეთ და 25 ავაზაკი დავქირავეთ სხვა-და-სხვა ბოროტებათა ჩასადენადაო. ჩვენი დაქირავებული ავაზაკები ერთს ქალაქში რომ რამე მინდობილს საქმეს გაათავებენ, მერე, უფროსის ბრძანებისამებრ, სხვაგან მიდიან და ბოროტებასა სჩადიან. ჯერ-ჯერობით ჩვენის „ამხანაგობისაგან“ ჩემს მეტი არავინ ჩავარდნილა სასამართლოს ხელშიო.

— ჩიკაგოს გამოფენისათვის აპირობენ მოამზადონ წმინდა სანთლისაგან

---

ყვარულისავ! მე, შურის-მეძიებელი, ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ ამას!... მე და ჩემი ძმები, როდესაც ხალხში მოგკარით თვალი, იმ წამსვე მივხვდით, რომ შენ ნამდვილად ის არსება უნდა ყოფილიყავ, რომელიც ხალხს ცხოვნებას ანიჭებს და აღუჩნდება ახალის დროის არონად, მოსედ.

— ნუ გამსცდი აღთქმათა მოჩვენებითა, რომელთაც უზრდელი და უაზრო ბავშვურ სურვილის ფასი სძევს. მე მეფე ვარ და მეფედ ვიქნები, მაგრამ მეუფება ჩემი ამა სოფლისა არ არის. იგი დაისადგურებს აზრის უძირო სივრცეში, რომელსაც საზღვრად არ უდევს არც ზღვა და არც ხმელეთი და არც ენისა და ერის სხვა-და-სხვაობა. ხმალი ბარბაროსის უსარგებლო იარაღია, რომელსაც არც დრო აქვს და არც ხეირი. სიტყვა ჩემი შეიპყრობს მთელის კაცობრიობის აზრს და იქ დაემკვიდრება, იგი ერთის წვეთის სისხლის დაუღვრელად ქვეყანას სუფევას მიანიჭებს, თქვენს ძმათა-მომსპობელს მახვილზედ უფრო ღრმად განკვეთავს გულსა კაცისასა და წმიდა-წმიდათად გარდააქცევს... სიყვარული სასწაულთ-მოქმედია!..

შავი ადამიანი ყურს აღარ უგდებდა. შუბლი გამოუთქმელის ტანჯვის ნაოჭებად შეეკრა, თვალთ დაუბნელდა და შავს ლოყაზედ ცვარ-ცვარად სდიოდა ცრემლი, ცრემლი მწარე, გულის შემზარავი. ხელები პირზედ მიიფარა და გულიდგან მკვნესარე ხმით აღმოსთქვა:

— ოჰ, ურიასტანო, ურიასტანო!.. შენს ენით გამოუთქმელს უბედურებას საზღვარი არა აქვს, ძირი არ მოეპოვება, ვინ მოგხოცავს, შე ბედკრულო, ტანჯვის ცრემლს!.. წინასწარმეტყველნი შენნი აზრით მიუწდომელს ბუნდს და სიზმარსავით გამოურკვეველს წარმოდგენას გაუტაცნია!..

— სული შენი შურის ძიების წყურვილს მოუკლავს და იმიტომ ვერ მიმხვდარხართ ჩემის სიტყვების აზრს.

— არ შემიძლიან, არც მესმის. სიტყვანი შენნი ამ ქვეყნის ვარამს არ შეეხება და მე-კი ჩემი თვალი დიდი-ხანია, რაც ცხოვრების ბინძურს წუმპეს შევაჩვიე. შენს სიტყვებს ჩემს ყურებში ქურუმთა საიდუმლო, დაფარულ წინასწარმეტყველის ხმა გააქვს. შენი აზრი, თუმცა შორიდგან წმიდად და ბრწყინვალედ მოსჩანს, როგორც ცის გადაწმენდილი ლაჟვარდი, მაგრამ სრულიად უსარგებლო და მიუწდომელია იმ ტანჯულთათვის, რომელნიც საერთო უბედურებამ სიცოცხლის მომსპობელს სასაფლაოზედ საუკუნოდ მიაკრა ჯაჭვით. ეგ შენი სიტყვები პურს ვერ აჭმევს დამშეულთ, წყალს ვერ ასმევს მოწყურებულთ, დაჭრილის გულის წყლულს ვერ ესალბუნება...

— თქვენი შური და სიძულილი-კი?

— ჩვენი შური და სიძულილი-კი! ოჰ, ის ჭეშმარიტების და სიმართლის გზის გამწალდველი და მაჩვენებელი ცეცხლის ლამპარია, რომელიც სრულიად მოსწვავს და მოსთუთქავს ძირეულად იმ ნიადაგს, სადაც ველურნი მტაცებელნი გიჟურს განცხრომას მისცემიან!.. გულ-წრფელად გსურს, რომ დღევანდელ უბედურების უფსკრულიდგან აღმოიყვანო კაცობრიობა და ედემის ფუფუნება მიანიჭო და არსად წარსცე ქვასა ფერხი შენი?! გარდაიგდე თავი ამა კლდიდგან და დაიცვე სიცოცხლე, თუ ანგელოზნი ღვთისა შენისანნი ხელთა მათთა ზედა აღგიპყრობენ და გიშველიან...

იესომ მაღალის ხმით შესძახა:

— ჩემის მყუდრო ცხოვრების ასაშფოთებლად რატომ მოსულხარ, სულო ბოროტო! მე უარ-ვყავი ზრახვაჲ ულვთოთაჲ და აქ ფიქრსა ვარ მიცემული! შვილნო ჯოჯოხეთისანო, თქვენი სურვილი ბოროტი სიამაყეა, თქვენი მოქმედება ისეთივე საზიზღარი იქმნება, როგორც თვით თქვენი საკუთარი გულია. და ამიტომ მეც და ჩემი მოციქულნიც, სანამ ცოცხალნი იქნებიან—და ჩემი სიტყვა ხომ არასოდეს არ მოკვდება,—გდევნით სისხლის უკანასკნელს წვეთამდე. ომს გიცხადებთ, რადგანაც ჯოჯოხეთის შვილნი ხართ! თქვენის საეშმაკო საგნის განსახორციელებლად სადაც-კი უნდა სდგამდეთ ჯოჯოხეთურს სამჭედურს, ყოველგან მე დაგიხვდებით და ჩემი აზრი შეგმუსრავთ და მოგსპობთ... გასწი და წყეულ იყავ ამიერიდგან!

და განშორდა ის უშველებელი შავი კაცი, ნელის ნაბიჯით, მძიმედ... მოძულებული თვისდა უნებურად ხელს უჭერდა და თითებს შუა ძალზედ, სრესდა პურს, რომელიც ძლვნად მიართვა და უარ-ჰყვეს. უკანასკნელად ერთხელ კიდევ მიუბრუნდა სისხლის ცრემლით დასველებულის პირი-სახითა, მაგრამ თვალი იმისი, რომელიც წრფელის გულითა ღ ღიმილით მთელს ქვეყნიერობას უცინოდა, ეს თვალი მხოლოდ იმ შავს კაცს ემუქრებოდა; ის ხელი, რომელიც კაცობრიობას ახალს მხსნელს ღმერთს უჩვენებდა, მხოლოდ ამას უმზადებდა ჯოჯოხეთის უფსკრულს; ის ბაგენი, რომელთაც მთელს ქვეყნიერობაზედ უსაზღვრო სიყვარული და სიამენი სოფლისანი უნდა მოეფინათ, მხოლოდ და მარტო ამას უცხადებდნენ და უქადიდნენ მწარე წყევა-კრულვასა და სასტიკს ომს...

ხომლელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრეტის სურათი სწორედ პატრეტის ტოლი. ეს სურათი ისეთ ნაირად იქნება მოწყობილი ელექტრონის ძალის შემწეობით, რომ ხელების შლა და მისვრა-მოსვრა სწორედ პატრეტისა ექნება. ამასთანავე სურათს თავში დატანებული ექნება ფონოგრაფი, რომელიც პატრეტის ხმაზე იმღერებს. ამ გვარად მსურველს შეეძლება ჩიკაგოს გამოფენაზე მივიდეს და ჰნახოს თითქმის თვით გამოჩენილი პატრეტი ცოცხლად.

## წერილი რედაქციის მიმართ

მთელი საქართველო ემზადება, რომ ღირსეულად სცეს პატივი თავისის დიდებულ პოეტის ნ. ბარათაშვილის სახელსა და „მკვდართა შთენილთა." ჩვენც, ბაქოში მცხოვრებს ქართველებსაც, გულითა გვსურს მივიღოთ მონაწილეობა, ჩვენის შეძლების კვალობაზედ, ამ დიად სასიქადულო საქმეში. ამისათვის გიგზავნით 112 მ. 10 კ. და გთხოვთ ჩვენის დედა-ქალაქის საზოგადოებას, მიიღოს ეს ჩვენი წვლილი, როგორც უტყუარი ნიშანი იმისა, რომ საქართველოს გარეშე მცხოვრებ ქართველებისთვისაც მეძვირფასია ხსენება და პატივი საქართველოს დიდებულის შვილებისა. აქვე მოგყავს სია ფულის შემომწირველთა:

ჯაყელი იოსებ—10 მ., ბაქრაძე სპირიდონ—5 მ., რ—შვილი—3 მ., ჯაყელი გიორგი—3 მ., ამაშუკელი—3 მ., ოჯანეზოვი—3 მ., ჩუბინიშვილი ილია—3 მ., თ. ანდრონიკაშვილი.—3 მ., ხუდადაშვილი.—3 მ., კობერიძე—3 მ., მერაბოვ—3 მ., ავგერინოს—3 მ,, პაპოპულო—3 მ., მაჭავარიანი—2 მ., ასვლედიანი—2 მ., ჩუბინაშვილი გრიგოლ—2 მ. 50 კ., დეკანოზიშვილი გიორგი—2 მ., მახურიშვილი—2 მ., ცაგარელი ნ.—2 მ., ჟურული—2 მ., გვარამაძე—2 მ., ნაკაშიძე—2 მ., ჩაგანავა—2 მ., გოძელაური—2 მ., ჩუბინიშვილი ანდრია—1 მ., 50 კ., მ. გ. კირთაძე—1 მ. 50 კ., ოცხელი—1 მ., გოდერძიშვილი—1 მ., თურქია—1 მ., წულუკიძე—1 მ., შოთნიაშვილი—1 მ., ლაღიაშვილი—1 მ., სალარიძე—1 მ., ი. ი. სათვაროვი—1 მ., ზესლიაკ—1 მ., ცეიტლინ—1 მ., ჭაჯი-ჯავათ-აშუროვ—3 მ., მირზა ჭაჯი ბაგიროვ—3 მ., №—1 მ., №. №.—1 მ., ბაბაიანც—1 მ., დადაშევ—1 მ., თუმანიანც—3 მ., მამედოვ—2 მ., პ. ა. დადაშევ—3 მ., გასულოვის კანტორა—3 მ., ჭანი მამედოვ—1 მ., ა. აშუროვ—3 მ., უ—შვილი—60 კ., მ. ნ.—3 მ.,

ამასთანავე გთხოვთ, ორი თუმანი ან მეტი ცალკე შეინახოთ და, ვინიცობაა, ნ. ბარათაშვილის გადმოსვენებაზე ჩვენი დეპუტაცია ვერ მოვიდა, გვირგვინით შეამკეთ კუბო.

ივანე რატიშვილი

## დეპეშა

3 სექტემბერი

**ლონდონი.** სტამბოლიდამ ხმა მოვიდა, ვითომ ინგლისის სამხედრო ხომალდებს კუნძული სიგრი დაუჭერია მიტილენის ახლო. „Times" იუწყება, რომ ეს ხმა სრულიად უსაფუძვლოა და თანაც ამბობს, რომ ეს ხმა გაავრცელა ზოგიერთმა მებანკემ იმ განზრახვით, რომ ხელი შეუშალონ რუსეთის ფულის ახალს სესხს პარიჟში.

**პარიჟი.** დღეს დიდის ამბით დაასაფლავეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ნამყოფი გრევი.

4 სექტემბერი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი აუწყებს გუბერნატორებს, რომ მოუსავლობით დაზარალებულ ადგილების მცხოვრებთა გამოსაკვებ საჭიროებისათვის 22 მილიონამდეა ამ ჟამად გადადებულიო. ამასთანავე დიდი ყურადღებაა მიქცეული იმაზე, რომ მცხოვრებთ საკმაო თესლი მიეცეს ანეულების დასათესად, რათა მომავალის წლის მოსავალი უზრუნველ-ყოფილ იქმნას. ამ საგნის თაობაზე საქმე კარგად მოხერხდა. უწ. სინოდის უწყებამ იტვირთა კერძო ქველმოქმედება გაჭირვებულ ხალხის დასახმარებლად მაგრამ, რადგანაც შესაძლებელია, რომ კერძო შეწირულებანი სხვა გზითაც მოიპოვოს, ამიტომ ქველმოქმედების განსაწესიერებლად დადგენილთა საზოგადო რიგი, რომელსაც ცირკულიარი აუწყებს გუბერნატორებს. ცირკულიარს დართული აქვს სია უმეტესად დაზარალებულ გუბერნიებისა: ნიჟეგოროდისა, ტულისა, რიაზანისა, სიმბირსკისა; ყაზანისა, ვორონეჟისა, სარატოვისა, სამარასი, ვიატკისა, უფისა, ორენბურგისა, პენზასი და ტამბოვისა. და დასახელებულია აგრეთვე ისიც, თუ სხვა გუბერნიებში რომელი მაზრები უფრო დაზარალდა.

გამოაცხადეს კანონი იმის შესახებ, რომ მერმისიდგან ყოველ წლის 20,914 მანათი გადაიდება მისიონერთათვის დასავლეთსა და სამხრეთს ათს გუბერნიაში.

„Гражданинъ"-ს გაუგონია, ფინანსთა სამინისტრო აპირობს, დაუყოვნებლივ ღონე რამ იღონოს იმ მოუსავლობით დაზარალებულ მემამულეთა შესახებ, რომელთაც მამული სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში აქვთ დაგირავებული, რომ მამული არ გაეყიდოთო.

**ოდესა.** აქ გამართეს საქალებო საკომერციო კურსები. სწავლა ერთს წელიწადს გრძელდება. 40 ქალი ჩაეწერა მოსწავლედ.

**მადრიდი.** ტოლედოს პროვინციის მდინარეების კალაპოტიდგან გადმოვარდნამ ბევრი ადგილი წალეკა და 2000 კაცი დაჰლუპა. დაზარალებულების მიშველება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც გზები ყველა მოშლილია.

პეტერბურგის ბირჟა, 3 სექტემბერი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 48 | 7, 53 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 238 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223¼ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, , , , | 212½ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, დამასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლიიდგან წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების"
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი" მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—16)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

## სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—15) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—19)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРIЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.